

მემორანდუმი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთი მხრივ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „აწსუ“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ გიორგი ღაფთაძის სახით და მეორე მხრივ, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეონა ხუფენიას სახით, შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აგრეთვე სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას ახალგაზრდა თაობების განათლებისა და დახელოვნების სფეროში, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

„მხარეები“ ხელს შეუწყობენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი იღებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს.

- მიიღონ მონაწილეობა ერთობლივ სემინარებში, აკადემიურ შეხვედრებში, კონფერენციებში, ვორკუოუებში და სხვა ღონისძიებებში.
- განახორციელონ აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ვიზიტები ტრენინგების, ერთობლივ კვლევით პროექტებში მონაწილეობის, ან საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიზნით.
- დაგეგმონ და განახორციელონ მმართველი პერსონალის ვიზიტები კონსულტაციების, ლექციების და პროექტების დაგეგმარების მიზნით.
- იღებენ გადაწყვეტილებას სტუდენტთა ურთიერთგაცვლის შესახებ
- გაცვლითი სტუდენტები მასპინძელ უნივერსიტეტში ისარგებლებენ მასპინძელი უნივერსიტეტის სტუდენტების სტატუსით (ტექნიკური თუ სხვა საშუალებების, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების გამოყენება).

„მხარეები“ უზრუნველყოფენ:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის პოპულარიზაციას პარტნიორ უნივერსიტეტებში.
- საჯარო ლექციების წაკითხვას.
- მრავალმხრივი სამეცნიერო ურთიერთობის დამყარებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად.
- სასწავლო პროცესს აკადემიური განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი კვალიფიციური პერსონალით (აკადემიური/მოწვეული), სამეცნიერო ბაზით, სახელმძღვანელოებით (საბიბლიოთეკო ფონდით), სასწავლო ლაბორატორიებით, მათ შორის „მიზნების ადმინისტრირების“, „დაწყებითი განათლების“, „სამართლის“ და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარგლებში.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული

კრედიტების აღიარებას ალტერნატიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის „მიზნების ადმინისტრირების“, „დაწყებითი განათლების“, „სამართლის“ და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარგლებში.

მუხლი 3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განახორციელებენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის განვითარებასა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.

მუხლი 6

მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების სწავლის შედეგების ურთიერთაღიარებას.

მუხლი 7

მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთთანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში.

მუხლი 8

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 9

მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 10

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.


მუხლი 11

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

აკაკი წერეთლის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
რექტორი, პროფესორი


გიორგი ლავთაძე

ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
რექტორი, პროფესორი


თეონა ხუფენია



თარიღი 5 ავგ 2016წ.